

# ქალთა სამართლებრივი მდგომარეობა საქონლის-საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობები ქართული საერო და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

მანანა კოპალიანი

სამართლის დოქტორი, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## THE LEGAL STATUS OF WOMEN IN MATRIMONY, FAMILY AND LEGAL RELATIONS ACCORDING TO THE GEORGIAN SECULAR AND CUSTOMARY LAW

Manana Kopaliani

*Doctor of Law, Associate Professor of European Teaching University*

### რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში საუბარია ქალის სამართლებრივ მდგომარეობაზე საქართველოში. ცნობილია, რომ ქართულ ოჯახში მამაკაცს გაბატონებული, პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა ქალთან შედარებით. კაცის სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა და მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ოჯახის თითოეული წევრი უპირობოდ ემორჩილებოდა. როგორც ქართულ, ისე ჩვეულებით სამართალში ქალი თავმდაბალი, ქმრის მორჩილი და დამყოლი უნდა ყოფილიყო. ქმრის წინაშე ვალდებულებანი ქალს არა მხოლოდ მის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგაც უნდა ეტვირთა. კერძოდ, მას ეკრძალებოდა მეორედ გათხოვება, თუ შვილები ჰყავდა. ასევე, იმ სოფელში ან გვარში გათხოვება, რომელსაც მისი მეუღლე ეკუთვნოდა.

მიუხედავად ამისა, ვერ დავივიწყებთ შოთა რუსთაველის გენიალურ სიტყვებს: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, თუმცა ამ ციტატით მაღალი წრის ქალისა და მამაკაცის თანასწორობა იყო აღიარებული.

როგორც ქართული სამართლის მიხედვით, ისე ჩვეულებათა თანახმად საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებში ქალი და მამაკაცი არა თუ თანასწორნი იყვნენ, პირიქით ის, რაც უპატიებელი იყო ქალისათვის, აბსოლუტურად დასაშვებად ითვლებოდა მამაკაცისათვის. ქართული ფეოდალური კანონმდებლობა დანაშაულად მხოლოდ ცოლის მიერ ქმრის ღალატს თვლიდა, ხოლო ქმრის ასეთივე მოქმედება სისხლის სამართლის წესით არ იდევნებოდა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ, როგორც ჩანს, ქართული საერო სამართალი, ხალხის ზნე-ჩვეულება დამნაშავეს, მეტადრე ქალს, გაცილებით უფრო ულმობლად ეკიდებოდა. კაცს რომ საყვარელი, „ხარჭი“ ჰყოლოდა, ეტყობა ისე დიდ დანაშაულობად არ ითვლებოდა, როგორც ცოლის ღალატით. საერო და ხალხური სამართალი ასეთი ქმედების ჩამდენი ცოლის მიმართ ქმარს საკმაოდ დიდ უფლებებს ანიჭებდა, რაც სასტიკი დამასახიჩრებელ-გამანბილებელი სასჯელების („გაყრა“, „გახეიბრება-გაჯუღურება“, „კვეთილში ჩასმა“, „ვირზე შესმა“, სამარცხვინო ბოძზე გაკვრა“და ა.შ.) გამოყენებაში გამოიხატებოდა.

ამგვარად, საერო სამართალი და ზნეჩვეულება ქმრის ღალატს უფრო ლმობიერად ეპყრობოდა, ვიდრე ცოლისას. მართალია, ქართული საერო და ჩვეულებითი სამართლის ძალით, კაცს მარტო ერთი ცოლი უნდა ჰყოლოდა. თუმცა-ლა, აღსანიშნავია, იშვიათად, მაგრამ მაინც ორცოლიანობას ადგილი უნდა ჰქონოდა ქართულ ჩვეულებათა თანახმად. იმ შემთხვევაში თუ ქმარს პირველი ცოლისგან შვილი არ ეყოლებოდა, ანდა ცოლი მარტო ქალიშვილებს გაუჩენდა, მაშინ ქმარს ცოლისა და მისი მშობლების ნებართვით ნება ეძლეოდა მეორე ცოლის შერთვისა. მაგრამ მამაკაცი ვალდებული იყო ეზრუნა პირველ ცოლზე, მოეარა და ეპატრონა მისთვის. არანაირად არც სჯული, არც ჩვეულება არ აძლევდა მას მისი უბრალოდ მიტოვების, დაგდების უფლებას.

ამრიგად, ზოგადად ასე წარმოგვიდგება ქალის როლი და მისი სამართლებრივი მდგომარეობა ქართულ საქორწინო-საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში.

## RESUME

The article presents the legal status of women in Georgia. It is known that in Georgian family the man had ruling, privileged position compared to woman. His words had the force of law and each family member unconditionally obeyed any his decision. According to both Georgian and customary law a woman should be humble, obedient to her husband and complaisant. A woman should incur her obligations to her husband not only during her lifetime but after his death. Namely, she was not allowed to marry for a second time if she had children. As well she was not allowed to marry in the same village or to the same surname which his husband belonged to.

Nevertheless we do not forget the genius words of Shota Rustaveli: "King's children, male or female, are equal", however the equality of men and women of high society was recognized by this quotation.

According to both Georgian and customary law in matrimonial relations a man and a woman were not equal, contrary - everything that was unforgivable for women was considered acceptable for men. The Georgian feudal law considered only the wife's illegal sexual intercourse as offence and the husband's same act was not persecuted by the criminal law. The prominent Georgian scientist Ivane Javakhishvili noted that it seems that the Georgian secular law treated the woman as an offender of morals and manners much more vigorously. If a man had a lover, "concubine" it seems not to be considered so great crime as a wife's betray. Secular and national law granted quite great rights to a husband in respect of a wife having committed such actions that was expressed in using of severe mutilating and obeying punishment ("divorce", "crippling - nose or ear cutting off", "carving", "setting on donkey", "tying on the shame poster", etc.).

Thus the secular law and the moral regulates treat the husband's illegal sexual intercourse more leniently than the wife's one. Although a man should have only one wife in pursuance of a law. However it should be noted, rarely, but bigamy should have taken place according to the Georgian customs. In case if a husband did not have child from his wife or a wife bore only daughters the husband was allowed to take to second wife by the permission of his wife and parents. But the man was required to take care of and protect his first wife. Neither law nor custom permitted him in any way to abandon or plant her.

Thus, in general the role of women is likewise in matrimonial legal relations.

საქართველოში ოდითგანვე აქტუალური იყო ქალის ხვედრი, მისი ყოფა და სამართლებრივი მდგომარება. მრავალი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო და არის დაინტერესებული თემით, რომელიც ქალთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათდამი დამოკიდებულებასა და უფლებებს მოიცავს. ჩვენც ყურადღება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შევაჩირეთ და ამ მოკრძალებული სტატიით გვინდა მოკლედ გადმოვცეთ ის ვითარება და არსებული რეალობა, რასაც ფეოდალური საქართველოს კანონმდებლობასა და ქართულ ჩვეულებით სამართალში ვხვდებით. ცნობილია, რომ საქართველოში მამაკაცს ოჯახში გაბატონებული, პრივილეგირებული მდგომარეობა ეჭირა. რომაული „Pater-Familias“ მსგავს ინსტიტუტს ვხვდებით, როგორც საერო, ასევე ქართულ ჩვეულებით სამართალშიც. მაგალითად, თუშეთში რამდენიმე ძმათაშვილი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა, ხოლო ოჯახის უფროსად უფროსი მამაკაცი „ბერი“ ითვლებოდა, იგი დიდი ავტორიტეტითა და რეპუტაციით სარგებლობდა ოჯახის წევრებს შორის. მის სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა და ყველა უპირობოდ ემორჩილებოდა. მთის რაჭაშიც დიდი ოჯახის სათავეში უფროსი, ცხოვრებისეული გამოცდილებით გამორჩეული მამაკაცი იდგა, რომელსაც „ბაბუას“ უწოდებდნენ. აგრეთვე, დიდ ოჯახს ხევში უხუცესი მამაკაცი ედგა სათავეში, რომელსაც „სახლის უფროსი“-ს სტატუსი ჰქონდა. იგი დიდი უფლებებით სარგებლობდა ოჯახში, სკამიც თავისი და განსხვავებული ედგა-ე.წ. „სამარტო სკამი“. მას ყველა ფეხზე ადგომით ხვდებოდა. მის სიცოცხლეში გაყრა იშვიათი მოვლენა იყო. შვილებს, ქალსაც და ვაჟსაც, მამის ერთადერთი და განუსაზღვრელი ხელისუფლება უნდა ელიარებინათ და მისი ნების წინააღმდეგ არ უნდა წასულიყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ქალის უფლებრივი მდგომარეობა შეზღუდული იყო ქმართან და, საერთოდ, მამაკაცთან მიმართებაში. თანამედროვეთა ცნობით: „ქალის უფლებები ჩვენთან ძალიან შეზღუდული იყო, გადმოგვცემს ალექსი ლუსკიშვილი სოფელ ლაფანცურიდან (ლოპოტის ხეობა). ქალი ოჯახში ძალიან თავმდაბალი უნდა ყოფილიყო, თავის ქმარზე წინ ფეხს ვერ გაადადგამდა, ქმრის სახლში ყოფნის დროს გარეთ გასვლის უფლება არ ჰქონდა. მშობიარობის დროს ქალი მარტო იყო ეზოში. პატარა გომური ჰქონდათ ერთი, მთელ დღეს იქ უნდა ყოფილიყო, გარეთ ვერ გამოვიდოდა. სასმელ-საჭმელს გარედან შეუგდებდა მოხუცი ქალი ან დედამთილი. მშობიარობისა და დედათა წესის დროს ქალი უნინდურად ითვლებოდა და მას უფლება არ ჰქონდა განათლულ სახლში შესულიყო. თუ გვიან გაიგებდა, იგი ვალდებული იყო ეთქვა მშობლებისთვის ან დედამთილისთვის (თუ გათხოვილი იყო) და მაშინვე წასულიყო გომურში. ოჯახი ამ დროს ვალდებული იყო საქონელი დაეკლა და ხელახლა გაენათვლინებინა სახლი, ანდა ფუტკარი მოეწველა (მოწველაში ფიჭის ამოღება იგულისხმება).

„ახლა მსგავს მოვლენას ადგილი აღარ აქვს“-ო, გვამცნობს ალექსი ლუსკიშვილი. ამ წამბობიდან კარგად ჩანს ფშაველი ქალის უფლება-მოვალეობანი ქმართან მიმართებაში. ამავე დროს, ნათლად აისახება მათ ურთიერთობაში ფშაველი მამაკაცის თითქმის განუსაზღვრელი უფლებები ოჯახში. ცოლი ქმრის მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობდა არა მხოლოდ მის სიცოცხლეში, არამედ გარდაცვალების შემდეგაც. კერძოდ, მას ეკრძალებოდა მეორედ გათხოვება, თუ შვილები ჰყავდა. აგრეთვე, იმ სოფელში ან გვარში გათხოვება, რომელსაც გარდაცვლილი მეუღლე ეკუთვნოდა. გარდა ამისა, ცოლი, როცა მეუღლე გარდაცვლებოდა, ვალდებული იყო, მონაწილეობა მიეღო იმ საქმიანობაში, რაც მიცვალებულის წესში იყო გათვალისწინებული: თავი, ორმოცი, ხალარჯობა, წლისთავი და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ცხადია, რომ ქართული სამართლის ისტორიაში ვხვდებით მეფე-ქალის ფენომენს, რომელიც ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ადის სამეფო ტახტზე. ამით რასაკვირველია, მამის ხელისუფლება უარყოფილად და იგნორირებულად არ უნდა ჩაითვალოს. რადგან ამ შემთხვევაში, თავად მამა არის მოსურნე შვილის მიერ მისი ადგილის დაკავებისა, მიუხედავად იმისა შვილი ქალი იქნებოდა თუ ვაჟი. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა შოთა რუსთაველს: „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, ამ ციტატით ქალისა და მამაკაცის თანასწორობაა აღიარებული.

უნდა აღინიშნოს, რომ უნიკალურ „ვეფხისტყაოსანში“ ზოგადად ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე კი არ არის საუბარი, არამედ მაღალი წრის ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე. ქართული

სამართლის ისტორიაში ორად ორი შემთხვევაა სამეფო ტახტზე ქალის ასვლისა, თამარის გამეფება და რუსულანის მეფობა. შესაბამისად, მათი შვილებიც პირდაპირ მათ მემკვიდრებად მოიხსენიებოდნენ: ლაშა-გიორგი თამარის ძე, დავით ნარინი რუსულანის ძე. თუმცა-ლა, თამარის მამის კურთხევითა და ნებით ტახტზე ასვლა მაინც უჩვეულო მოვლენა იყო იმ პერიოდის საქართველოში, და ამიტომაც საჭირო გახდა იმ დებულების გამყარება, რომ ქალის მეფობა შესაძლებელია. სწორედ ამისათვის შეიქმნა ნაშრომი, სადაც მოთხოვილია სიზმარში ღმერთისა და წმინდა ნინოს საუბარი.“ ნინო ეუბნება ღმერთს, რომ ის ქალია, სუსტი არსებაა, მას არ შეუძლია ქართველობის გაქრისტიანების მძიმე ტვირთი იდოს თავს, ღმერთი კი პასუხობს: „არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქუნე ყოველნი ერთი ხართ“ ე.ი. მამაკაცები და ქალები თანასწორნი არიანო<sup>1</sup>

თუმცა ქორწინება-განქორწინების დროს, როგორც ქართული სამართლის მიხედვით, ისე ჩვეულებათა თანახმადაც, არა თუ თანასწორნი იყვნენ ქალი და მამაკაცი, პირიქით, ის, რაც უპატიებელი იყო ქალისათვის, აბსოლუტურად დასაშვებად ითვლებოდა მამაკაცისათვის. ქართული ფეოდალური კანონმდებლობა დანამაულად მხოლოდ ცოლის მიერ ქმრის ღალატს თვლიდა, ხოლო ქმრის ასეთივე მოქმედება სისხლის სამართლის წესით არ იდევნებოდა. ცოლის ღალატი (მრუშობა) ან მისი მხრიდან სხვა მსგავსი ულირსი საქციელი ქართველი კაცის ამაყი ბუნებისთვის განსაკუთრებით მძიმე ცოდვად და დანაშაულად ალიქმებოდა. როგორც ზემოთ ავლიშნეთ, საერო და ხალხური სამართლი, ასეთი ქმედების ჩამდენი ცოლის მიმართ, ქმარს საკმაოდ დიდ უფლებებს ანიჭებდა, რაც სასტიკი დამასახიჩრებელ-გამანბილებელი სასჯელების („გაყრა“, „გახეიბრება-გაჯუღურება“, „კვეთილში ჩასმა“, „ვირზე შესმა“, „სამარცხვინო ბოძზე გაკვრა“, და ა.შ.) გამოყენებაში გამოიხატებოდა. პატრიარქალური ქართული ოჯახის უფროსი სასტიკად ეპყრობოდა მოღალატე ცოლს. თუმცა, საერთოდ, ქალის უფლებრივი მდგომარეობა ფშაური სამართლით საკმაოდ დაცული იყო და მას მამაკაცისგან არც თუ დიდად განსხვავებული პირადი, საზოგადოებრივი თუ ქონებრივი უფლებები ჰქონდა. სასისხლო ურთიერთობებში კი, გარკვეული უპირატესობითაც სარგებლობდა (მაგ. შურისძიების მსხვერპლად არ შეიძლებოდა ქცეულიყო). როგორც პროფ. ზოიძე აღნიშნავს, ქართული სამართლის სინამდვილი-დან გამომდინარე, გასათვალისწინებელი უნდა ყოფილიყო ის ფაქტიც, რომ ქალი ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს წარმოადგენდა. მას საკუთარი ღირსება გააჩნდა და გარკვეულ-წილად სასჯელთა სიმკაცრე განპირობებული იყო ამ ღირსების დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ ქალის უფლებრივი მდგომარეობა საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებში გარკვეულად შეზღუდული იყო, მოიპოვება სარწმუნო ცნობები იმის შესახებაც, რომ ქალს ფშავურ თემურ საზოგადოებრივ ას-პარაზზე გამორჩეული ადგილიც კი ეჭირა.<sup>2</sup>

ამავე დროს, ფაქტია, რომ მეუღლის ღალატისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ ცოლს ეკისრებოდა, ე.ი. ამგვარი დანაშაულის სუბიექტად ქალი გამოდიოდა. მამაკაცის პასუხისმგებლობა კი ანალოგიური შემთხვევისათვის არ დასტურდება. ამ შემთხვევაში უეჭველია, საქმე გვაქვს საერთო ქართულ (და არა მარტო ქართულ) ჩვეულებასთან, რაც არაერთი უძველესი წყაროთი არის დადასტურებული. წყაროებზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „როგორცა ჩანს, საერო სამართალი, ხალხის ზნე-ჩვეულება დამნაშავეს, მეტადრე ქალს, გაცილებით უფრო ულმობლად ეკიდებოდა. კაცს რომ საყვარელი, „ხარჭი“ ჰყოლოდა, ეტყობა, ისე დიდ დანაშაულობად არ ითვლებოდა, როგორც ცოლის ღალატი. ვიცით მაგალითად, რომ აშოგ კურაპალატს და მის შვილს ადარნასეს „სჯულიერ“ ცოლს გარდა საყვარლებიც ჰყავდათ სახლში. მისი თანამედროვე საეკლესიო მოღვაწენი „მრუშების“ მთელ ბრალს მოღალატე ქმრებს-კი არა სდებდნენ, არამედ მართოდენ საყვარლებს. ვიცით აგრეთვე, რომ გიორგი მესამე, თამარის მამასაც „ხარჭი“ ჰყოლია და ამ ხარჭისაგან ნაშობი შვილი ებადა.“<sup>3</sup>

ამდენად, ამ მიმართებაში ქალის უფლებრივი მდგომარეობა აშკარად ჩამოუვარდება მამაკაცისას. ჩვეულებითი სამართლით ღალატი ცოლ-ქმარს შორის დიდ დანაშაულად ითვლებოდა და მკაცრი სასჯელიც იყო დაწესებული. ქმარს უფლება ეძლეოდა მოღალატე, მრუში ცოლისათ-

<sup>1</sup> გოგოჭური ბადა, „ხევსურული რჯულ-სამართალი“, თბილისი, 1986წ, გვ.152.

<sup>2</sup> ნიუარაძე შესარიონ, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“, თსუ. თბილისი, 1962წ. გვ.66

<sup>3</sup> დავით ჯალაბაძე, „დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში“, თბილისი, 1981წ. გვ. 219.

ვის ცხვირი,თმა ან მკლავი მოეჭრა-„გაჯუღურებინა“ და სახლიდან გაეძევებინა. ძველ ქართულ სამართალში. მრუში ცოლის ამგვარ დასჯის (გახეიბრება-გაჯუღურების) დამადასტურებელ ნორმას ვხვდებით. ასევე მოიპოვება ცნობები, რომლებიც არანაკლებ დამაჯერებელია ამ ჩვეულების საქართველოს სხვა კუთხეებში არსებობის დასამტკიცებლად. მაგალითად, მეჩვიდმეტე საუკუნის უცხოელ ავტორთა დაკვირვებანი მეგრულ ხალხურ სამართალზე, კერძოდ სამეგრელოს მთავრის ლევან მეორე დადიანის მიერ მრუშობის ბრალდებით, თავისი მეუღლის, აფხაზთა მთავრის ასულის დასჯის ფაქტზე. ლევან მეორე დადიანმა (1611-1657), თავის ცოლს, აფხაზთა მთავარ შერვაშიძის ასულ დარეჯანს, ბრალად დასდოთ თავის პირველ ვეზირთან პაპუნა წულუკიასთან ღალატი და იგი მამამისს „უამალოდ და სირცხვილნაჭამი გაუგზავნა, რომელსაც ყურები, ცხვირი და ხელები ჰქონდა დაჭრილი... „ანუ მოღალატე ცოლს „ბერძნების რჯულისამებრ“ ცხვირი მოაჭრა. აქ ბერძნების რჯულის ნაცვლად უნდა ვიგულისხმოთ რომაული რჯულის წესი, რომელიც განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული.

ფშავში „გაჯუღურების“, როგორც კერძო ხასიათის სასჯელის გამოყენება ქმრის უფლებამოსილებაში შედიოდა. მამაკაცს ჩვეულებითი სამართალი აძლევდა უფლებას, მოღალატე ( „ბოზი“) ცოლი გაეჯუღურებინა, ე.ი. ცხვირი ან ყური მოეჭრა და სახლიდან გაეგდო. ამავე სასჯელთან ერთად, შესაძლებელია კერძო ხასიათის სხვა სასჯელის გამოყენებაც, რასაც „კვეთილში ჩასმას“ უწოდებდნენ. ამასთან, ამ სასჯელთა გამოყენებას შესაბამისი საფუძველი გააჩნდა. მასზე ნათლად გადმოგვცემს ვაჟა-ფშაველა: „კვეთილში ჩასმა იმაში მდგომარეობს, რომ ცოლი ქმარს სწუნობდა. მაშინ ქმარი, თუ ცოლი მისი არა ბოზობდა, არ დაასახირებდა, მხოლოდ დაითხოვდა სახლდან. ქალს ნება აღარა ჰქონდა ქმრის შერთვისა. უკეთუ ცოლს ბოზობა დაუმტკიცდებოდა, მაშინ ქმარს ცხვირს მოსჭრიდა ან ხელსა. მსგავსს ვხვდებით თუშეთში, სადაც გაყრის საფუძველი ცოლის ღალატი იყო, უფრო მეტიც ქმარს უფლება ქონდა მოღალატე ცოლისთვის ცხვირი მოეჭრა და გაეგდო.<sup>4</sup>

ვაჟა-ფშაველას განმარტებებით, ფშავში ქმრის მიერ ცოლის დასჯის ორგვარ ფორმას განასხვავებდნენ: 1. „უკეთუ დიაცი სწუნობდა ქმარს, ჰსურდა განშორება მას და არაკი უნამუსობდა, ... ქმარი ამნაირს ცოლს ნებას მისცემდა, საცა ჰსურდა, იქ ეცხოვრა, მხოლოდ არ შეეძლო სხვა ქმარი მოეძებნა, სხვას გადაჰყოლოდა. ამ ჩვეულებას ჰქვია „კვეთილში ჩასმა“, „კვეთილიანობა“, 2..„დიაცი თუ აშკარად დაიწუნებდა ქმარსა და ამ დაწუნებას უნამუსობით, მოღალატობით დაამარილებდა, მაშინ ქმარი ამისთანა ცოლს დაასახირებდა, ანუ როგორც ფშაველი იტყვის, „გაახეიბრებდა“ - მოსჭრიდა ცხვირს ან ხელს და განიშორებდა.“ „გაჯუღურება“-დასახირება, როგორც სასჯელი, ცოლის მრუშობასთან იყო დაკავშირებული, ხოლო კვეთილში ჩასმა ქმრის მიერ ურჩი ცოლის სახლიდან გაშვებასა და მისთვის ხელახლა გათხოვების აკრძალვას გულისხმობდა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი-დან ვგებულობთ, რომ „ჯუღურა“-ვისაც სახე დამახინჯებული (დაჭრილი, ნაყვავილარი...) აქვს. ანუ გაჯუღურება სახის დამახინჯებას ნიშნავდა. გაჯუღურებული ცოლი ქმარს სახლიდანაც შეეძლო გაეძევებინა, ამ შემთხვევაში კი გაძევება დამატებითი სასჯელის სახეს წარმოადგენდა. აღნიშნული სასჯელების გამოყენება შემდევ ძირითად მიზანს ემსახურებოდა: ფიზიკურად დამახინჯებულ ქალს სხვაზე გათხოვება გასტირვებოდა და თან მძიმე სულიერი ტრამვა მიეღო. ასევე მისი დამახინჯებული სახე მეტყველებდა მის მოღალატეობრივ მოქმედებაზე.

კვეთილში ჩასმის ჩვეულება ფშავში სხვა ასპექტითაც დასტურდება. მაგალითად, სერგი მაკალათიამ ყურადღება მიაქცია ფშავში ცნობილ წესს, რომლის მიხედვითაც ქალი შეიძლებოდა კვეთილში ჩაესვა, ანუ სხვაზე გათხოვება აეკრძალა მისი თხოვნის მსურველ ვაჟს, რითაც ის, ერთგვარად უზრუნველყოფდა მასზე დაუბრკოლებლად დაქორწინებას. თუ ასეთ ქალს სხვა ვინმე მოიტაცებდა ან სხვა ფორმით ცოლად შეირთვადა, მას კვეთილში ჩამსმელი სასტიკად გაუსწორდებოდა და ბუნებრივია, ჩვეულებითი სამართალიც, მას (კვეთილში ჩამსმელს) გაამართლებდა. კვეთილში ჩასმის ჩვეულების სამართლებრივი ბუნება კარგად ჩანს, აგრეთვე, ფშავში, ქალის მიერ თავისი თავისი კვეთილში ჩასმის ჩვეულებაში, რაც იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ქალის მშობლები მისი სურვილის

<sup>4</sup> ვაჟა-ფშაველა, თხ.ათ ტომად.ტ.5,თბილისი,1964წ. გვ.33.

საწინააღმდეგოდ მის გათხოვებას მოინდომებდნენ, ან მას რამდენიმე მთხოვნელი გამოუჩნდებოდა და მოტაცებით დაემუქრებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთგვარი პროტესტი ქალის მხრიდან მამის და მომავალი უცნობი საქმროს მიმართ. ქალის მიერ გათხოვების ამგვარი თვითაღვეთა, ერთგვარი თვითდამცავი საშუალება იყო მოტაცების ან სხვაგვარი იძულებისგან თავს დაღწევის მიზნით. კერძოდ, „ფშავში ქალსაც ჰქონდა უფლება ჩაესვა თავისი თავი „კვეთილში“. ამისთვის იგი მიდიოდა ხატში და აღქმას დებდა, რომ არ გათხოვდებოდა, ამგვარად ის ხატის „მოწმინდარი“ ხდებოდა“.<sup>5</sup>

ამგვარი წესით, კვეთილში ჩასმული ქალის მოტაცება, როგორც მისი პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შელახვა, ფშაური სამართლით დანაშაულად იყო შერაცხული და შესაბამისად, მკაცრ კერძო სამართლებრივ სასჯელსაც (თვითგასწორება) იმსახურებდა. ფშაური ფოლკლორიც ადასტურებს ამას:

„მოგივიდოდი ცოლადა, არ ვიყო კვეთილიანი  
თავს კი ნურას მოიწონებ, მამა მეცა მყავს ხმლიანი.“

გარყვნილი და მოღალატე ქმედების ჩამდენი ქალის მიმართ ქართული რეალობა გამანბილებელი სასჯელის გამოყენების პრატიკასაც იცნობდა. ასეთ სასჯელთაგან განსაკუთრებით გავრცელებული იყო „ვირზე უკულმა შესმა“, რაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გამოიყენებოდა. აგრეთვე, „ბოზი ქალის ცხენის ძუაზე გამოპმა“ (ბოზს ცხენის ძუაზე გამოაპამდნენ, ჩამოატარებდნენ სოფელში და ბოლოს ჩაქოლავდნენ), ასევე სამარცხვინო ბოძზე გაკვრა განსაზღვრული ვადით. „ვირზე შესმის“, როგორც სასჯელის გავრცელების განსაკუთრებით ფართო არეალს ქართლი და კახეთი წარმოადგენდა. ამ ჩვეულების დამადასტურებელი ცნობებიც ქართლსა და კახეთში (ჩამოსახლებულ ფშაველებში) მოიპოვება. ამ ცნობებით, „ვირზე პირუკუ შესმულ ქალს კარდაკარ ჩამოატარებდნენ და მიაფურთხებდნენ...“ საკუთრივ ფშავში „... თუ ვინმე უნამუსობას ჩაინდა მას ვირზე შესვამდნენ, ვირის კუდს ხელში დააჭერინებდნენ.“ ამავე წესის დამადასტურებელია ფშავში მოარული წყევლა: „ვირზედამც შასჯედებიო“, ანდა „ვირზედამც შაგსმენ პირიკუდისაკე“, „ვირზე შესმა“, როგორც სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დამნაშავისათვის გათვალისწინებული სასჯელი იყო. ხოლო იმერეთში, გარყვნილი ქალის დასასჯელად სამარცხვინო ბოძზე გაკვრას მიმართავდნენ. ძირითადად ეს ეკლესიის ეზოში ხდებოდა, რადგან საყოველთაო და პრევენციული ხასიათი ჰქონდა დასჯის ამგვარ ფორმას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცოლის დასჯა ქმრის კერძო უფლებებში შედიოდა. „მას შეეძლო, დაუსახიჩრებლადაც გაეშვა ცოლი, მაგრამ ხმას დააგდებდა: ვინც მას მოიყვანდა ცოლად, მასთან ექნებოდა საქმე.“<sup>6</sup>

მაშასადამე, ბოზი ცოლის გაჯულურება თუ არგაჯულურება დამოკიდებული იყო ქმარზე. თუ ქმარი აპატიებდა ღალატს, ცხადია, ცოლი გაჯულურებას-დასჯას გადაურჩებოდა. ამის მაგალითი მოგვეპოვება ქართული სამართლის ისტორიაში და კერძო ფაქტსაც ვხვდებით: დავით ულუმ სიკვდილით დასაჯა ბასილი უჯარმელი, „რამეთუ თანა ეყო ბასილი უსუქნის და არა პრიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა...“<sup>7</sup>

აქედან ჩანს, რომ დავითმა სიკვდილით მხოლოდ საყვარელი ვაზირი ბასილი დასაჯა, ხოლო ცოლს, უსუქნი დედოფალს ღალატი აპატია. საინტერესოა ასევე, ცნობა ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნიდანაც: „თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა გაუშვებს... და თუ არ უნდა, არ გაუშვებს, ორივ კაცის ხელთ არის...“ (მუხლი 67).

ამგვარად, საერო სამართალი და ზნეჩვეულება ქმრის ღალატს უფრო ლმობიერად ეპყრობოდა,

<sup>5</sup> ვახტანგ აბაშმაძე, „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები“, თსუ გამოცემლიბა, თბილისი, 1989წ. გვ. 134.

<sup>6</sup> ივანე სურგულაძე, „საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985წ. გვ. 134.

<sup>7</sup> ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1984წ. გვ. 119.

ვიდრე ცოლისას. კაცს ეპატიებოდა ღალატი, უფრო მეტიც, პირველი ცოლის სიცოცხლეშივე შეეძლო მეორე ცოლის მოყვანა.

მართალია, ქართული საერო და ჩვეულებითი სამართლის ძალით, კაცს მარტო ერთი ცოლი უნდა ჰყოლოდა. თუმცა-ღა, აღსანიშნავია, იშვიათად, მაგრამ მაინც ორ-ცოლიანობას ადგილი უნდა ჰქონოდა ქართულ ჩვეულებათა თანახმად. იმ შემთხვევაში თუ ქმარს პირველი ცოლისგან შვილი არ ეყოლებოდა, ანდა ცოლი მარტო ქალიშვილებს გაუჩენდა, მაშინ ქმარს, ცოლისა და მისი მშობლების ნებართვით, ნება ეძლეოდა მეორე ცოლის შერთვისა. მართალია, პირველი ცოლიც სახლში ჰყავდა ქმარს, მაგრამ მათ შორის ცოლქმრული კავშირი წყდებოდა მეორე ცოლის მოყვანის დღიდან.

მეორე ცოლის მოყვანა იშვიათი შემთხვევა იყო. სვანეთში კაცს მეორე ცოლი პირველის სიცოცხლეშივე მოჟყავდა იმიტომ, რომ სვანი უშვილოდ არ გადაშენებულიყო, რაც დიდ უბედურებად ითვლებოდა სვანურ ჩვეულებით სამართალში.<sup>8</sup>

საინტერესოა ასევე, ცნობა მანუს კანონებიდან, სადაც განქორწინების სხვადასხვა პირობას შორის უშვილობაც განქორწინების საბაბად ითვლებოდა. მანუს კანონების 81-ე მუხლით დგინდებოდა: “უკეთუ ცოლს არ ეყოლება ბავშვები, ქმარს შეუძლია მერვე წელს შეირთოს სხვა ქალი, უკეთუ ცოლი შობს მკვდარ ბავშვებს მეათე წელს, უკეთუ შობს მხოლოდ გოგონებს მეთერთმეტე წელს...”<sup>9</sup>.

ამ ფორმით მანუს კანონები მამაკაცს აძლევდა ცოლთან გაყრის უფლებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც უშვილობა ან ქალის ყოლა მამაკაცს აძლევდა მეორე ცოლის შერთვის უფლებას, მაგრამ პასუხისმგებლობას და მზრუნველობას პირველი ცოლის მიმართ ვერ გაექცეოდა, ცხადია, მათ შორის ცოლ-ქმრული კავშირი წყდებოდა მეორე ცოლის მოყვანის დღიდან, თუმცა ყოფილი ქმარი მოვალე იყო ეზრუნა და შეენახა პირველი ცოლი, ამიტომაც ქმარს პირველი ცოლიც თავის სახლში ჰყავდა. უძველესი პერიოდის ხამურაბის კანონებში ვკითხულობთ, „უკეთუ კაცმა ცოლი მოყვანა, ცოლს ციება შეეყარა და კაცმა მეორე ცოლის მოყვანა განიზრახა, შეუძლია მოიყვანოს, ოღონდ ციებიანი ცოლი არ უნდა გაუშვას, ქალმა ქმრის აშენებულ სახლში იცხოვროს და ქმარმა სიკვდილამდე არჩინოს იგი.“<sup>10</sup>

ქართულ ლიტერატურაშიც, რომელიც ამ შემთხვევაში სამართლის არაპირდაპირ წყაროდ გამოდგება, ვხვდებით მსგავს დეტალს, კერძოდ: ნიკო ლორთქიფანიძე მოთხრობაში „ქორწილი“ გვიჩვენებს შეურაცხადი პირველი ცოლის, ქეთოს, მდგომარეობას. ქეთო ეზოში გაბმულ თოქს დაჰყვება და გაიძახის: “ცხოველი, ცხოველი, ბესო ჩემია...” ხოლო ყოფილი ქმარი, ქალის შეშლიდან რამდენიმე თვეში, აგრძელებს ცხოვრებას, ქორწინდება. თუმცა შეურაცხად პირველ ცოლს თავის სახლში იტოვებს და ზრუნავს მასზე.

ორცოლიანობის ფაქტს ვხვდებით ხევსურეთშიც. ცნობილია, რომ ყოველი ხევსური მამაკაცი მოვალე იყო, პატივი ეცა და დაეფასებინა ოჯახის სიმტკიცე და ერთგულება მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. საზოგადოებაში ოჯახის პატრონობითა და ერთგულებით ფასდებოდა მისი სახელ-სირცხვილი, პატიოსნება და სიძლიერე, რაც დამყარებული იყო ოჯახში ერთცოლიანობის პრინციპზე. ხევსურულ ჩვეულებით სამართალში იშვიათი იყო ოჯახის გაყრა და დანგრევა ცალმხრივი ან ორმხრივი ცოლ-ქმრული ღალატის საფუძველზე, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ხევსურული სამართლის მიხედვით არ იკრძალებოდა და გამონაკლისის სახით დაშვებული იყო ოჯახში ერთდროულად ორი კანონიერი ცოლის ყოლა, რომლებიც ერთ ჭერ-ქვეშ მთელი სიცოცხლის განმავლობაში თანხმობით ცხოვრობდნენ საერთო ქმართან ერთად. მათ ჰქონდათ თანაბარი უფლება-მოვალეობები, მიუხედავად იმისა თუ რამდენი სნის წინ მოხდა მათი შეულლება (გარდა ოჯახის გაყრისას არსებული ქონებრივი პირობების სხვაობისა) და რამდენი შვილი ჰყავდათ მათ. აქ საყურადღებოა, ის გარემოება, რომ

<sup>8</sup> მიხაკო კეკელია და ავტორთა ჯგუფი, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988წ. გვ.111.

<sup>9</sup> მიხაკო კეკელია და ავტორთა ჯგუფი, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, კრ.2, 1990წ. გვ.105.

<sup>10</sup> მიხაკო კეკელია და ავტორთა ჯგუფი, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, კრ.3, 1991წ.

ხევსური მამაკაცების მიერ მეორე ცოლის მოყვანა და მასთან ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა ახლობლების, ნათესავებისა და თვით პირველი მეუღლის ინიციატივით და დაძალებითაც კი, იმ შემთხვევაში თუ მას შვილები არ ჰყავდა და საჭირო იყო ოჯახის მემკვიდრე ვაჟიშვილის დაბადება, ან თუ პირველი მეუღლე რაიმე დაავადების გამო ისე ვეღარ უვლიდა და უძღვებოდა ოჯახს, როგორც ეს საჭიროდ მიაჩნდათ. საგულისხმოა, რომ ქართული სამართლის მიხედვით, განქორწინების საფუძვლად ითვლებოდა ასევე ცოლის ავადმყოფობა ანუ დასწეულება. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 140-მუხლში ვკითხულობთ: „თუ ცოლი დასწეულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთვის, რომე მისას ხელსა შიგან დამართებია“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ქალის დასწეულება ქართულ საერო სამართალში კანონიერი საფუძველი იყო განქორწინებისათვის. თუმცა კანონმდებელი არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა დასწეულება როდის მოხდა, ქორწინებამდე თუ ქორწინების შემდეგ. რაც შეეხება მეორე ცოლის მომყვან მამაკაცს, მას პირველი ცოლის მამის სახლი, თუ მოისურვებდა, 5 ძროხის ლირებულების ხელით დრამას ან ერთი საკლავის დაკვლას და სასმლით შერიგებას დააკისრებდა, რასაც ეწოდება „სამეორედო“ ან „სამეორცოლე“ დრამა, მაგრამ „სამეორედო“ დრამას ზოგადად მაშინ ახდევინებდნენ თუ პირველი ცოლი ამის გამო ქმარს გაეყრებოდა და მამის სახლში წავიდოდა.

ზემოთ ხსენებული გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ხევსურეთში მამაკაცი ქალს, კერძოდ კი ცოლს განსაკუთრებულად აფასებდა. თუ ცოლს შვილი არ ეყოლებოდა, ხევსური მამაკაცი მას სახლიდან არ გაუშვებდა, მოჰყავდა მეორე ცოლი, თუმცა მიუხედავად ამისა პირველი ცოლის სტატუსი და როლი ოჯახში არ იცვლებოდა. იგი, ისევ ისე, ძველებურად იდგა თავის სიმაღლეზე ოჯახში და ქმრის მეორე მეუღლესთან ერთად ინაწილებდა საოჯახო საქმეებს, ამასთან უფლება-მოვალეობებიც თანაბარი ჰქონდათ. ამდენად, ხევსური ქალი, როდესაც შეუღლდებოდა, ქმრის ოჯახში მისი ადგილი მყარი და საპატიო იყო. აგრეთვე, თუშეთშიც, თუ გათხოვილი ქალი უშვილო აღმოჩნდებოდა, მამაკაცს შეეძლო მეორე ცოლის მოყვანა. სწორედ, ასეთ ნიადაგზე ვხვდებით თუშეთშიც ორცოლიანობას.

ამგვარი ფორმით ვხვდებით ქართულ ჩვეულებით სამართალში (სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი) ორცოლიანობის ფაქტს. როგორც ზემოთ ავლინეთ, სვანურ, ხევსურულ და თუშურ ჩვეულებებში ერთი და იმავე მოტივით ირტავდა მამაკაცი მეორე ცოლს.

ეს ყოველივე ადასტურებს, რომ ქმარი ვალდებული იყო ცოლის (ყოფილი ცოლის) წინაშე, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მასთან ცოლქმრული ურთიერთობა და არანაირად არც სჯული და არც ჩვეულება არ აძლევდა მას მისი უბრალოდ მიტოვების, დაგდების უფლებას.